

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა:

**მათემატიკა**

1. სამაგისტრო პროგრამის დასახელება: მათემატიკა

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: მათემატიკის მაგისტრი

3. პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი გიორგი ონიანი

4. პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტისა და სტრუქტურული ერთეულის დასახელება: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მათემატიკის დეპარტამენტი

5. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

- მიზანი - მისცეს სტუდენტს საფუძვლიანი ცოდნა მათემატიკაში
- შედეგები - პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება :
  - მრავალმხრივი მათემატიკური ერუდიცია;
  - არჩეული სპეციალიზაციის მიმართულებით მათემატიკის თანამედროვე თეორიებისა და პრობლემატიკის ცოდნა;
  - არჩეული სპეციალიზაციის მიმართულებით უახლესი სამეცნიერო კვლევების შესწავლისათვის საჭირო ცოდნა;
  - პრაქტიკული ამოცანების გადაჭრის მიზნებისათვის მძლავრი მათემატიკური აპარატის ფლობა
- დასაქმების სფეროები - განათლება, მეცნიერება, ბიზნესი

6. საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მათემატიკაში ან სხვა მონათესავე დარგში
- ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდისა და სპეციალობაში გამოცდის წარმატებით ჩაბარება

## 7. პროგრამის სტრუქტურა

№	კურსი	სკ	Lლ./პრ./ს/ლაბ.	კრედი-ტორადენობა	სემესტრები			
					I	II	III	IV
<b>სპეციალობის სავალდებულო კურსები (55 კრედიტი)</b>								
1	მათ. ანალიზი-1	3	3.0.0.0	5	5			
2	მათ. ანალიზი-2	3	3.0.0.0	5		5		
3	ფუნქციონალური ანალიზი-1	3	3.0.0.0	5	5			
4	ფუნქციონალური ანალიზი-2	3	3.0.0.0	5		5		
5	ალგებრა	3	3.0.0.0	5	5			
6	გეომეტრია	3	3.0.0.0	5		5		
7	დიფ. განტოლებები	3	3.0.0.0	5	5			
8	დისკრ. მათემატიკა	3	3.0.0.0	5			5	
9	მათ. მოდელირება	3	3.0.0.0	5	5			
10	ალბათობის თეორია	3	3.0.0.0	5			5	
11	რიცხვითი ანალიზის საფუძვლები	3	3.0.0.0	5		5		
<b>არჩევითი მოდული 1: ფუნქციათა თეორია (40 კრედიტი)</b>								
1	ლებეგის ინტეგრალთა დიფერენცირება-1	3	3.0.0.0	5		5		
2	ლებეგის ინტეგრალთა დიფერენცირება-2	3	3.0.0.0	5			5	
3	ლებეგის ინტეგრალთა დიფერენცირება-3	3	3.0.0.0	5				5
4	ფურიეს ანალიზი-1	3	3.0.0.0	5		5		

5	ფურიეს ანალიზი-2	3	3.0.0.0	5			5	
6	ფურიეს ანალიზი-3	3	3.0.0.0	5				5
7	ნამდვილი ანალიზი	3	3.0.0.0	5			5	
8	ანალიზის დამატ. თავები	3	3.0.0.0	5			5	
<b>არჩევითი მოდული 2: დიფერენციალური განტოლებები(40 კრედიტი)</b>								
1	სასაზღვრო ამოცანები-1	3	3.0.0.0	5		5		
2	სასაზღვრო ამოცანები-2	3	3.0.0.0	5			5	
3	სასაზღვრო ამოცანები-3	3	3.0.0.0	5				5
4	მათ. ფიზიკის ამოცანები-1	3	3.0.0.0	5		5		
5	მათ. ფიზიკის ამოცანები-2	3	3.0.0.0	5			5	
6	რიცხვითი ანალიზი	3	3.0.0.0	5			5	
7	ოპტ. მართვის თეორია-1	3	3.0.0.0	5			5	
8	ოპტ. მართვის თეორია-2	3	3.0.0.0	5				5
<b>არჩევითი კურსი</b>				5	5			
1	სტატისტიკა	3	3.0.0.0					
2	პედაგოგიკა	3	3.0.0.0					
<b>სამაგისტრო ნაშრომი</b>		<b>20</b>						<b>20</b>

## 8. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.